



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

საერთო დანიშნულების  
სახელმწიფო მომსახურების  
სფეროს აუდიტის  
დეპარტამენტის უფროსი

ფრიდონ შენგელია

„----05--“ --07-- 2016 წელი

ეგზ. N2

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატის

2015 წლის ფინანსური აუდიტის ანგარიში 41/36

## შინაარსი

|                                                                                                   |    |
|---------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....                                                       | 3  |
| პირობითი აუდიტორული მოსაზრების გაცემის საფუძვლები .....                                           | 4  |
| 1. დებიტორული დავალიანება .....                                                                   | 4  |
| 2. ხარჯების აღრიცხვა .....                                                                        | 5  |
| კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა .....                              | 5  |
| 1. ინვენტარიზაცია .....                                                                           | 5  |
| 2. არაფინანსური აქტივების მართვა.....                                                             | 5  |
| 3. განმარტებითი შენიშვნები.....                                                                   | 6  |
| დამატებითი ინფორმაცია .....                                                                       | 6  |
| 1. ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების მდგომარეობა .....                                            | 6  |
| 1.1 ბიუჯეტის დაგეგმვა.....                                                                        | 6  |
| 1.2 სარეზერვო ფონდებიდან მიღებული დაფინანსება.....                                                | 7  |
| 1.3 ბიუჯეტის შესრულება (სამინისტრო) .....                                                         | 8  |
| 1.4 ცვლილებები ხარჯთაღრიცხვაში.....                                                               | 9  |
| 1.5 ბიუჯეტის შესრულება (აპარატი) .....                                                            | 9  |
| 1.6 დეკემბრის თვეში გაწეული ხარჯების შედარება წინა თვეების ანალოგიურ საშუალო მაჩვენებლებთან ..... | 9  |
| 2. შრომის ანაზღაურება.....                                                                        | 10 |
| 3. შტატგარეშე მოსამსახურეების შრომის ანაზღაურება .....                                            | 12 |
| 4. საწვავი .....                                                                                  | 13 |

## შემოკლებები

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო - სამინისტრო;

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - ფინანსთა სამინისტრო

საქართველოს მთავრობა - მთავრობა;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება სახაზინო სამსახური - სახაზინო სამსახური;

იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“ - საჯარო რეესტრი

## დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებების, სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობისა და ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშგებებს მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

## ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

### **აუდიტორის პასუხისმგებლობა**

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ISSAI). ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ აუდიტორებმა მიიღონ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ბუღალტრული ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ბუღალტრულ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ბუღალტრულ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. ამ რისკების შეფასებისას არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ბუღალტრული ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის.

მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის ჯგუფმა მოიპოვა აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

## **პირობითი აუდიტორული მოსაზრების გაცემის საფუძველები**

### **1. დებიტორული დავალიანება**

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აპარატის ბალანსზე რიცხულმა დებიტორულმა დავალიანებამ შეადგინა 20 192 ლარი. აქედან 2 666 ლარი წარმოადგენს წინა წლებში წარმოშობილ დებიტორულ დავალიანებებს. მათ შორის: 1 614 ლარი - მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის გარეთ (2004 წ.), 1 039 ლარი - მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით (2004 წ.) და 13 ლარი -სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები (2006 წ.).

აღსანიშნავია, რომ აპარატის მიერ არ არის გატარებული შესაბამისი ღონისძიებები (გარდა დებიტორების მისამართზე თანხის დაფარვის შესახებ წერილების გაგზავნისა) მივლინებასთან დაკავშირებულ დებიტორული დავალიანებების

ამოსაღებად. „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 26-ე მუხლის 31-ე პუნქტის თანახმად, დებიტორული დავალიანებების თანხები, რომელთა ამოღების აღბათობა ნულის ტოლია, ექვემდებარება ჩამოწერას არასაოპერაციო ხარჯების ანგარიშზე (8200) ასახვით.

რაც შეეხება არაფინანსური აქტივების დანაკლისებით მოთხოვნას, აპარატის მიერ დავალიანების ხარჯებში ჩამოსაწერად ქმედითი ღონისძიებები არ გატარებულა.

## **2. ხარჯების აღრიცხვა**

ხარჯების აღრიცხვა ბუღალტრულ ანგარიშებზე განხორციელებულია „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის (ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა) შესაბამოდ. კერძოდ: „სამედიცინო ხარჯი“ აღრიცხულია ანგარიშზე - 7260 (აღრიცხული უნდა იყოს - 7252 ანგარიშზე), „რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები“ აღრიცხულია ანგარიშზე - 7270 (აღრიცხული უნდა იყოს - 7260 ანგარიშზე), „ტარნსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები“ აღრიცხულია ანგარიშზე - 7280 (აღრიცხული უნდა იყოს - 7270 ანგარიშზე).

## **კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა**

### **1. ინვენტარიზაცია**

აპარატის მიერ 2015 წელს არ არის ჩატარებული ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია, რომლის მიზანია ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალურობის შემოწმება, რითაც დარღვეულია „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი.

### **2. არაფინანსური აქტივების მართვა**

აპარატში არასრულყოფილად ხორციელდება არაფინანსური აქტივების დაცულობაზე კონტროლი. კერძოდ, თანამშრომლებზე აქტივების დროებით სარგებლობაში გადაცემისას, მათთან არ ფორმდება ხელშეკრულებები სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ, რაც გათვალისწინებულია „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“

ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-6 მუხლის მე-13 პუნქტით.

### **3. განმარტებითი შენიშვნები**

აუდიტის ჯგუფის რეკომენდაციით, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში აისახა კონსოლიდაციას დაქვემდებარებული ერთეულების შესახებ ინფორმაცია, დამატებითი ინფორმაცია ფიზიკური ცვეთის, შემთხვევითი დაზიანების ან მორალური ცვეთის შედეგად აქტივების ღირებულების შემცირებაზე ძირითადი კაპიტალის მოხმარების სახით, ასევე, კანონმდებლობით დადგენილი წესით მომზადებული ინფორმაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის - მომსახურების სააგენტოსთვის განსაკარგავად გადაცემულ და სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეულ ქონებაზე, რაც გათვალისწინებულია „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 24 მუხლის მე-7 და 23-ე პუნქტებით.

### **დამატებითი ინფორმაცია**

#### **1. ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების მდგომარეობა**

##### **1.1 ბიუჯეტის დაგეგმვა**

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარდგენილი ინფორმაცია (საბიუჯეტო განაცხადი) მომავალი წლების ბიუჯეტების შესახებ შეესაბამება ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით მისთვის განსაზღვრული ასიგნებების ზღვრულ მოცულობას.

სამინისტროს 2015 წლის დამტკიცებულმა ბიუჯეტმა, საბიუჯეტო განაცხადის შესაბამისად, შეადგინა 100 000 000 ლარი, ხოლო საშტატო რიცხოვნობამ - 716 ერთეული. მთავრობის 2015 წლის 6 მარტის N422 განკარგულებიდან გამომდინარე, 2015 წლის 17 ივლისს ბიუჯეტის კანონში შესული ცვლილებით, სამინისტროს დაფინანსება შემცირებულია 10 500 000 ლარით და განსაზღვრულია 89 500 000 ლარით (შემცირება ძირითადად შეეხო 2801010265 ორგანიზაციულ კოდს - „საზღვარგარეთის ქვეყნებში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებებისათვის უძრავი ქონების შეძენა“. სამინისტროს განმარტებით, ლარის გაცვლითი კურსის მერყეობამ გამოიწვია საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების და საკონსულო დაწესებულებების წლიურ გეგმაში ცვლილებების გატარება, ვინაიდან აშშ დოლარის რეალური კურსი მკვეთრად აღემატებოდა გეგმიურ კურსს, შესაბამისად სამინისტრომ აღარ განახორციელა საზღვარგარეთ უძრავი ქონების შეძენა), ხოლო

საშტატო რიცხოვნობა გაზრდილია, რომელიც ძირითადად გამოწვეულია საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების უსაფრთხოების უზრუნველყოფის დეპარტამენტის შექმნით (საფუძველი: მთავრობის 2015 წლის 3 აგვისტოს N1693 განკარგულება; „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 16 ნოემბრის N206 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე მთავრობის 2015 წლის 3 აგვისტოს N394 დადგენილება; მინისტრის 2015 წლის 10 აგვისტოს N01-233 ბრძანება).

|                                       | 2015 წლის<br>ბიუჯეტი (2800) | 2015 წლის<br>ბიუჯეტი (2800)<br>ცვლილება |
|---------------------------------------|-----------------------------|-----------------------------------------|
| <b>საგარეო საქმეთა<br/>სამინისტრო</b> | 100 000 000                 | 89 500 000                              |
| მომუშავეთა რიცხოვნობა                 | 716                         | 760                                     |
| ხარჯი                                 | 97 982 000                  | 88 527 000                              |
| შრომის ანაზღაურება                    | 7 659 000                   | 7 713 700                               |
| არაფინანსური აქტივების<br>ზრდა        | 2 018 000                   | 973 000                                 |

## 1.2 სარეზერვო ფონდებიდან მიღებული დაფინანსება

სამინისტროს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით (ცვლილების შემდგომ) დამტკიცებული აქვს ასიგნება 89 500 000 ლარის ოდენობით, ხოლო დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 89 836 825 ლარი. დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა - 336 825 ლარი (0.33%) წარმოადგენს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მიღებულ თანხებს.

მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები მიზნობრივია და წარმოადგენს გაუთვალისწინებელ გადასახდელებს, ხოლო ფონდიდან გამოყოფილი თანხით შესყიდვები არ განხორციელებულა.

| საფუძველი                                               | თანხა  | შინაარსი                       |
|---------------------------------------------------------|--------|--------------------------------|
| პრემიერ-მინისტრის 2015 წლის<br>25 მაისის N216 ბრძანება  | 11 654 | მოქალაქეთა გადმოსვენების ხარჯი |
| პრემიერ-მინისტრის 2015 წლის<br>16 ივლისის N292 ბრძანება | 2 810  |                                |

|                                                          |         |                                                                                                                                                               |
|----------------------------------------------------------|---------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| პრემიერ-მინისტრის 2015 წლის<br>27 მაისის N10-ს ბრძანება  | 68 898  | საიდუმლო                                                                                                                                                      |
| მთავრობის 2015 ბწლის 24<br>ივნისის N1180 განკარგულება    | 112 730 | ნეპალისათვის ფინანსური დახმარება<br>ბუნებრივი კატასტროფის შედეგების<br>აღმოფხვრის მიზნით                                                                      |
| პრემიერ-მინისტრის 2015 წლის<br>24 ივლისის N304 ბრძანება  | 68 940  | აღმოსავლეთ უკრაინაში არსებულ<br>ჰუმანიტარულ კრიზისზე რეაგირების<br>მიზნით, გაეროს სამოქმედო გეგმის<br>განხორციელებაში საქართველოს<br>მონაწილეობის დაფინანსება |
| პრემიერ-მინისტრის 2015 წლის 7<br>ოქტომბრის N417 ბრძანება | 71 793  | დომენიკის თანამეგობრობაში<br>მომხდარი სტიქიის შედეგების<br>აღმოფხვრის მიზნით დახმარების<br>გაწევა                                                             |

### 1.3 ბიუჯეტის შესრულება (სამინისტრო)

| კოდი  | დამტკიცებული<br>ბიუჯეტი | დაზუსტებულ<br>ბიუჯეტი | გადახრა<br>დამტკიც.<br>და<br>დაზუსტ. % | ბიუჯეტის<br>შესრულება | გადახრა<br>დაზუსტ.<br>და შესრ.<br>% |
|-------|-------------------------|-----------------------|----------------------------------------|-----------------------|-------------------------------------|
| 28 00 | 89500000                | 89836825              | 0.3                                    | 89498588              | 0.3                                 |
| 28 01 | 89115000                | 89451825              | 0.3                                    | 89209951              | 0.2                                 |
| 28 02 | 385000                  | 385000                | 0                                      | 288636                | 25 *                                |

\*სსიპ - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო ცენტრის (კოდი-2802) დირექტორის 2016 წლის 22 იანვრის N2740-04 წერილის თანახმად, 2015 წელს გადადებულია მომწვევი მხრიდან ცენტრის ხელმძღვანელის საზღვარგარეთ დაგეგმილი მივლინებები (მაგ: საფრანგეთი, მექსიკა, ინდონეზია). ასევე, მათი განმარტებით, გამომდინარე 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მარეგულირებელი ნორმებიდან, ვერ შეძლეს მაღალ ანაზღაურებადი ექსპერტების მოწვევა; რიგი მოწვეული უცხოელი ექსპერტების ანაზღაურება მოხდა ევროკავშირის პროექტის ფარგლებში, რამაც გამოიწვია შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების აუთვისებლობა; აგრეთვე საკუთარი სახსრებიდან მოხდა მიმდინარე გადასახადების გადახდა.



#### 1.4 ცვლილებები ხარჯთაღრიცხვაში

სამინისტროს მიერ წლის განმავლობაში ხარჯთაღრიცხვის ცვლილებების საფუძველზე პროგრამებს, ქვეპროგრამებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხები გადანაწილებულია თექვსმეტჯერ, მათ შორის, ორი ცვლილება გამოწვეულია „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონში ცვლილებით, ექვსი ცვლილება-სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფით, ხუთი ცვლილება- საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის ცვლილებით, ხოლო პროგრამებს შორის თანხების გადანაწილება განხორციელებულია სამჯერ და შეადგენს სამინისტროს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების 0.5%-ს.

#### 1.5 ბიუჯეტის შესრულება (აპარატი)

|     | აპარატი                     | გეგმა         | ვალდებულება   | რესურსი   | მოთხოვნა      | გადახდა       |
|-----|-----------------------------|---------------|---------------|-----------|---------------|---------------|
| 00  | ჯამური                      | 13,642,040.00 | 13,604,697.34 | 37,342.66 | 13,400,350.88 | 13,400,350.88 |
| 2   | ხარჯები                     | 12,854,784.00 | 12,823,518.11 | 31,265.89 | 12,619,171.65 | 12,619,171.65 |
| 2.1 | შრომის ანაზღაურება          | 7,654,700.00  | 7,654,700.00  | 0.00      | 7,616,852.48  | 7,616,852.48  |
| 31  | არაფინანსური აქტივების ზრდა | 733,000.00    | 726,923.85    | 6,076.15  | 726,923.85    | 726,923.85    |
| 33  | ვალდებულებები ს კლება       | 54,256.00     | 54,255.38     | 0.62      | 54,255.38     | 54,255.38     |

#### 1.6 დეკემბრის თვეში გაწეული ხარჯების შედარება წინა თვეების ანალოგიურ საშუალო მაჩვენებლებთან

| ცენტრალური აპარატი 28010101 | დეკემბერი | 11 თვის საშუალო ხარჯი | დეკემბრის თვის შეფარდება 11 თვის საშუალო ხარჯთან |
|-----------------------------|-----------|-----------------------|--------------------------------------------------|
| შრ. ანაზღაურება             | 908385    | 609860                | 148%                                             |
| საქონელი და მომსახურება     | 834046    | 324869                | 256%                                             |
| სხვა ხარჯი                  | 586997    | 600112                | 97%                                              |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 6605      | 1916                  | 344%                                             |

-შრომის ანაზღაურების მუხლში ხარჯის 48%-იანი ზრდა გამოწვეულია პრემიის გაცემით, რომელიც წლის განმავლობაში ძირითადად გაცემულია ოთხჯერ.

-საქონელი და მომსახურების მუხლში ხარჯის 156%-იანი ზრდა ძირითადად გამოწვეულია შემდეგით:

2015 წლის იანვარ-აგვისტოში შეძენილია სარეკლამო მომსახურება, რომლის ძირითადი ფაქტიური შესრულება და გადახდა განხორციელებულია დეკემბერში.

მცირეფასიანი კომპიუტერული ტექნიკა, ასევე, მცირეფასიანი საქონელი შეძენილია ახალშექმნილი დეპარტამენტის სატელევიზიო სიგნალის უზრუნველსაყოფად.

დეკემბრის თვეში ზაფხულის სეზონის საბურავები შეცვლილია ზამთრის სეზონის ახალი საბურავებით.

წარმომადგენლობითი ხარჯის ზრდა გამოწვეულია რვა ქვეყნის არარეზიდენტი ელჩის სტუმრობით დეკემბერში.

-არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში 244%-იანი ზრდა ძირითადად გამოწვეულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 16 ივნისის N1235 განკარგულების შესრულების მიზნით ლიცენზირებული პროგრამა „microsoft“-ის შეძენით.

## **2. შრომის ანაზღაურება**

მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის N264 განკარგულებით აპარატის საშტატო რიცხოვნობა განსაზღვრულია 295 ერთეულით. მთავრობის 2015 წლის 11 თებერვლის N178 განკარგულებით საშტატო რიცხოვნობა გაზარდილია 31 ერთეულით, ხოლო მთავრობის 2015 წლის 3 აგვისტოს N1693 განკარგულებით - 24 ერთეულით და შეადგინა 350 ერთეული.

2015 წელს 2014 წელთან შედარებით პრემიებისა და დანამატების ზრდა ძირითადად გამოწვეულია შემდეგით: ცენტრალური აპარატის ფაქტობრივად დასაქმებული თანამშრომლების საშუალო რაოდენობა აღემატება 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელს, ასევე, მინისტრის 2014 წლის 21 ოქტომბრის N01-222 ბრძანებით ცენტრალური აპარატის მოსამსახურეებისათვის წინასწარ, მთელი წლის განმავლობაში განსაზღვრულია ყოველთვიური დანამატი, რაც თავისი შინაარსიდან გამომდინარე უფრო თანამდებობრივი სარგოს ხასიათს ატარებს ვიდრე დანამატის.

| შრომის ანაზღაურება | სამინისტრო | ცენტრალური |
|--------------------|------------|------------|
|--------------------|------------|------------|

| (საკასო ხარჯი)       | 2800           | აპარატი          |
|----------------------|----------------|------------------|
| <b>2014 წ.</b>       | <b>6577923</b> | <b>6427655</b>   |
| თანამდებობრივი სარგო |                | <b>3,978,841</b> |
| პრემია               |                | <b>1,324,840</b> |
| დანამატი             |                | <b>1,123,975</b> |
| <b>2015 წ.</b>       | <b>7758776</b> | <b>7616852</b>   |
| თანამდებობრივი სარგო |                | <b>4,232,249</b> |
| პრემია               |                | <b>1,443,830</b> |
| დანამატი             |                | <b>1,940,774</b> |

საანგარიშო პერიოდისათვის მინისტრის ბრძანების საფუძველზე პრემია ძირითადად გაცემულია ოთხჯერ, მათგან სამჯერ გაცემულია საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრულ უქმე დღეებთან დაკავშირებით. ცალკეულ შემთხვევებში სამინისტროს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე დეკემბრის თვეში გაცემული პრემიის ოდენობა აღემატება თანამდებობრივ სარგოს, რაც შესაბამისობაშია მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის N449 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის“ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებთან.

სამინისტროს მიერ დაგეგმვის ეტაპზე განსაზღვრულ სამტატო რიცხოვნობასა და წლის განმავლობაში რეალურად დასაქმებულთა რიცხოვნობას შორის სხვაობა, მათი განმარტებით, გამოწვეულია შემდეგით:

-დიპლომატიურ სამსახურში მოსამსახურეთა კადრების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად დაწესებულია თანამდებობის პირთა როტაცია - სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და საზღვარგარეთ დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულებების თანამდებობის პირთა ურთიერთშენაცვლება.

-როტაციის ფარგლებში ხორციელდება დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებაში პირთა სამუშაოდ მივლინება ცენტრალური აპარატიდან ან რეზერვიდან და დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებაში სამუშაოდ მივლინებულ პირთა გამოწვევა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

-როტაციის წესით სამუშაო მივლინებიდან გამოწვეულმა პირმა მომდევნო როტაციის წესით სამუშაო მივლინებამდე სამინისტროს ცენტრალურ აპარატში უნდა იმუშაოს არანაკლებ ერთი წლისა. ამ ვადაში ითვლება დიპლომატიური სამსახურის რეზერვში ყოფნის დრო. თუმცა საჭიროების შემთხვევაში მინისტრი უფლებამოსილია შეამციროს აღნიშნული ვადა.

-როტაციის, გადაყვანის ან უწყებიდან პირის წასვლის შედეგად სამინისტროს ცენტრალურ აპარატში წარმოქმნილი ვაკანტური დიპლომატიური თანამდებობის შევსება ხდება საზღვარგარეთ როტაციიდან დაბრუნებული დიპლომატიური თანამდებობის პირის დანიშვნით პრიორიტეტულად. „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, როტაციიდან ვადის გასვლის გამო დაბრუნებული დიპლომატიური თანამდებობის პირი უნდა დაინიშნოს შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე სამინისტროს ცენტრალურ აპარატში. ასეთი შესაბამისი ვაკანტური თანამდებობის არარსებობის შემთხვევაში დიპლომატი ჩაირიცხება დიპლომატიური სამსახურის რეზერვში.

იმ შემთხვევაში, თუ ცენტრალური აპარატის შესაბამისი ვაკანსია არ შეივსო როტაციიდან დაბრუნებული პირის დანიშვნით, ვაკანსიის წარმოშობიდან ექვსი თვის ვადაში შესაძლებელია გამოცხადდეს ღია საჯარო კონკურსი.

### 3. შტატგარეშე მოსამსახურეების შრომის ანაზღაურება

სამინისტროს ცენტრალური აპარატის შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა აჭარბებს საშტატო რიცხოვნობის 2%-ს, თუმცა მთავრობის 2015 წლის 11 თებერვლის N166 დადგენილებით, საგარეო საქმეთა სამინისტროზე არ გავრცელდა „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და ცენტრალური აპარატის შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა განისაზღვრა 80 ერთეულით. ფაქტობრივად დასაქმებულთა რაოდენობამ 2015 წლისათვის შეადგინა 75 ერთეული, რაც 5 ერთეულით მეტია 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით, რამაც განაპირობა 2015 წელს საკასო ხარჯის ზრდა ამ მუხლში.

| შრომის ანაზღაურება<br>(საკასო ხარჯი) | სამინისტრო<br>2800 | ცენტრალური<br>აპარატი |
|--------------------------------------|--------------------|-----------------------|
| 2014 წ.                              | 898904             | 756836                |
| თანამდებობრივი<br>სარგო              |                    | 557,690               |

|                         |         |         |
|-------------------------|---------|---------|
| პრემია                  |         | 199,147 |
| 2015 წ.                 | 1060625 | 912506  |
| თანამდებობრივი<br>სარგო |         | 675,499 |
| პრემია                  |         | 237,008 |


#### 4. საწვავი

"საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ" მთავრობის 2015 წლის 6 მარტის N422 განკარგულების მე-6 პუნქტის თანახმად, 2015 წელს საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოხმარებული საწვავის ხარჯები 2014 წლის საკასო ხარჯთან შედარებით უნდა შემცირებულიყო არანაკლებ 30%-ით. აღნიშნული შემცირება ცენტრალური აპარატის მიერ განხორციელებულია მხოლოდ 13.5 %-ით (2015 წ.- 115303 ლარი, 2014 წ. -133 327 ლარი), რაც შეთანხმებულია ფინანსთა სამინისტროსთან (წერილი N01/9149 17.03.2015).

#### პირობითი დასკვნა

აუდიტის ჯგუფის მოსაზრებით, გარდა იმ შესაძლო ეფექტისა, რომელსაც მოახდენდა პირობითი დასკვნის გაცემის საფუძველში მოცემული საკითხები, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სამინისტროს აპარატის ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

უფროსი აუდიტორი



მანანა ღვინაძე

უფროსი აუდიტორი



ნინო ამირანაშვილი

უფროსი აუდიტორი



ნანა ვაჩაძე